ეროვნული ბიბლიოთეკა

# 16 მონაწილე მფლობელში

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების ორგანიზატორები წლების მანძილზე თავს იმტვრევდნენ, რათა გამოენახათ ფინალისტთა კენჭისყრის ყველაზე ეფექტური და ობიექტური ფორმა. ბოლოს და ბოლოს არჩევანი შეჩერდა უძლიერესთა განთესვის პრინციპზე, რომელიც, შესაძლოა, ბოლომდე სამართლიანი არც არის, მაგრამ სხვა სისტემებზე მეტად გამორიცხავს ფავორიტთა ურთიერთშეხვედრებს ტურნირის პირველ ეტაპზე — ჯგუფებში.

10 იანვარს მეხიკოში, „მარია ისაბელის" სასტუმროს ერთ-ერთ დარბაზში, სადაც კენჭისყრა უნდა შემდგარიყო, სწორედ ამ მიზნით შემოიტანეს 4 ურნა. თითოეულში ჩაყრილი იყო ბარათები უკვე წინასწარ განთესილი გუნდების დასახელებით. მექსიკას — ტურნირის ორგანიზატორს — ადრევე ჰქონდა განკუთვნილი № 2, ხოლო მსოფლიო ჩემპიონს — № 10 (ეს მოხდა იმ მიზნით, რომ ორგანიზატორი და ჩემპიონი რაც შეიძლება გვიან შეხვედროდნენ ერთმანეთს).

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის გილიერმო კანიედოს 10 წლის გოგონამ მონიკა მარიამ პირველი ურნიდან ამოიღო კონვერტი, რომელშიც დიდი ასოებით ეწერა: სსრ კავშირი. ვინაიდან მექსიკას უკვე წინასწარ ჰქონდა განკუთვნილი № 2, სსრ კავშირი პირველი ნომრით მას თავზე მოექცა. შემდეგ გოგონამ მესამე ურნიდან ამოიღო „ბელგია", მეოთხე ურნიდან კი „სალვადორი". ამ პრინციპით შეიქმნა პირველი და დანარჩენი ჯგუფები.

მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი ურნების შემადგენლობა და განთესვის პრინციპი, რომელსაც საორგანიზაციო კომიტეტი ასე საიდუმლოდ ინახავდა. ერთ-ერთ ურნაში თურმე „მოთავსებული" იყვნენ წინა ჩემპიონატის პრიზიორები — ინგლისი, გფრ, სსრ კავშირი და ევროპის ჩემპიონი იტალია, რომელმაც პორტუგალიის ადგილი დაიკავა. მეორე ურნაში გაერთიანდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნები, მესამეში — ევროპის უძლიერესი გუნდები (ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, შვეცია და ბელგია), მეოთხეში კი სხვა დანარჩენი ქვეყნები — რუმინეთი, მაროკო, სალვადორი და ისრაელი.

წინადღით იმავე „მარია ისაბელის" სასტუმროში მოეწყო კენჭისყრის გენერალური რეპეტიცია (ორგანიზატორებს აინტერესებდათ, რამდენ წუთს გასტანდა საზეიმო პროცედურა), რომელმაც შექმნა ჯგუფები: I — რუმინეთი, მექსიკა, პერუ, ბელგია, II — გფრ, ბრაზილია, სალვადორი, ჩეხოსლოვაკია, III — იტალია, ინგლისი, ბულგარეთი, ისრაელი, IV — მაროკო, შვეცია, სსრ კავშირი, ურუგვაი. ზოგიერთი სპეციალისტისა და ჟურნალისტის აზრით, გუნდები გენერალურ რეპეტიციაზე უფრო სამართლიანად განაწილდნენ, ვიდრე ნამდვილი კენჭისყრით.

* * *

სურათზე: კენჭისყრის გენერალური რეპეტიციის დასკვნითი მომენტი. საორგანიზაციო კომიტეტის წევრს ბოლო მონაწილის — ურუგვაის კონვერტი უპირავს.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 18 (4012) 27 1970 წ. იანვარი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

• •

## პირველი საწვრთნელი

**სპლიტი, 26 იანვარი.** (საკდესი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ თავისი პირველი საწვრთნელი მატჩი ჩაატარა იუგოსლავიის უმაღლესი ლიგის გუნდ „ჰაიდუკთან".

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1 (1:1). სტუმართაგან ერთადერთი ბურთი 41-ე წუთზე გაიტანა პუზაჩმა.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რუდაკოვი (კავაზაშვილი), ძოძუაშვილი, ხურცილავა, აფონინი (ლოვჩევი), კაპლიჩნი (შესტერნიოვი), სერებრიანიკოვი, მუნტიანი, ასათიანი, ბიშოვეცი (გერშკოვიჩი), პუზაჩი, გ. ნოდია.

• •

## ფინალისტთა საქმენი

**ვინია-დელ-მარი,** 26 იანვარი. ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ჩილის ამ ქალაქში ანგარიშით 4:2 (2:1) დაამარცხა ადგილობრივი „ევერტონი". გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს: ბისოვსკიმ (21-ე წ.), ფინდეისმა (35-ე წ.), ვესელიმ (52-ე წ.) და სტრატილმა (მე-60 წ.).

**კასაბლანკა,** 26 იანვარი. მაროკოს ნაკრებმა თავის მინდორზე ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა ბრატისლავის „სლოვანის" ფეხბურთელებთან.

**ბელუ-ორიზონტი,** 26 იანვარი. ბრაზილიის ამ ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია რუმინეთის ფეხბურთელთა ნაკრებისა და ცნობილი კლუბის „ატლეტიკო მინეიროს" მატჩმა, რომელსაც 50 ათასი კაცი დაესწრო. თამაში გადასცეს ტელევიზიით, რომლის კომენტატორმა ა. ნოგეირამ ძალიან აქო სტუმრები. ერთადერთი გოლი, რომელმაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი, მასპინძელთა კარში 39-ე წუთზე გაიტანა რუმინელთა გუნდის თავდამსხმელმა ნეაგუმ.




## „ენძელას" თასის შესახებ

სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ყოველი წლის საფეხბურთო სეზონი „ენძელას" თასზე (გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზი) „ა" კლასის გუნდების ტრადიციული ტურნირით იწყება.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ვინაიდან წლეულს „ა" კლასის უმაღლეს ჯგუფში გათამაშება ჩვეულებრივზე ადრე, 15 მარტს იწყება, „ენძელას" თასი არ ჩატარდება.

„ა" კლასის I და II ჯგუფების გუნდებისთვის ფედერაცია მოაწყობს ჯგუფურ წინასასეზონო შეჯიბრებებს.

## ახალი რეკორდები

● **ბევერლი ჰილი,** 25 იანვარი. ამ ქალაქის 25-იარდიან აუზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიოს 6 ახალი რეკორდი დამყარდა. სამის ავტორია მასპინძელი ს. ეტვუდი (აშშ), რომელმაც ქალთა ტურნირში ისახელა თავი, ხოლო დანარჩენი სამი რეკორდისა — დასავლეთგერმანელი ჰ. ფასნაჰტი.

ეტვუდმა 100 იარდი ბატერფლაით 1 წუთსა და 1,5 წამში დაფარა, 200 იარდზე კომპლექსურ ცურვაში 2.16,1 აჩვენა, ხოლო 400 იარდზე ამავე სტილით — 4.44,5.

ფასნაჰტმა 200 იარდი ბატერფლაით 1 წუთსა და 57,7 წამში გაცურა, 200 იარდზე კომპლექსურ ცურვაში 2.00,8 აჩვენა, 400 იარდზე კი 4.07,7.

● **ალბუკერკი,** 25 იანვარი. 800 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. დოუბელმა (ავსტრალია) ამერიკის შეერთებული შტატების ამ მაღალმთიანი ქალაქის დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 1000 იარდი 2 წუთსა და 5,5 წამში გაირბინა, რაც ნახევარი წამით სჯობს 1963 წელს რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ჩემპიონის პ. სნელის (ახალი ზელანდია) მიერ დამყარებულ მსოფლიო მიღწევას.

● **ფილადელფია,** 25 იანვარი. ადგილობრივ დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ამერიკელმა მძლეოსანმა ქალმა მ. რალინსმა 50 იარდზე თარჯრბენში მსოფლიო მიღწევა გაიმეორა — 6,6 წამი. 880 იარდზე რბენაში მოულოდნელი მარცხი იწვნია 800-მეტრიან დისტანციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. მანინგმა. მას აჯობეს 17 წლის ნიუიორკელმა შ. ტუსენმა (2.15,1) და ნ. შეფერმა (2.15,4). მანინგის დროა 2.15,5.

## 595 კგ!

**ველიკიე ლუკი,** 25 იანვარი. დღეს აქ დამთავრდა რსფსრ-ს იუნიორთა პირველობა ძალოსნობაში. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია უკონკურსოდ მოასპარეზე ზემძიმე წონის ათლეტმა ვ. ალექსეევმა (შახტი), რომელმაც სამჭიდში 595 კგ (210+165+220) დააგროვა და 5 კგ-ით გააუმჯობესა ლ. ჟაბოტინსკის ძველი მსოფლიო რეკორდი. მან კიდევ ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: აჰიმა 210,5 კგ (1 კგ-ით აღემატება ამერიკელი ჯ. დიუბის ძველ მიღწევას) და აჰკრა 221,5 კგ. ესეც 1 კგ-ით სჯობს რ. ბედნარსკის (აშშ) შარშანწინდელ რეკორდს.

# „განთიადს" რომ მიბაძავდნენ...

**ბაკურიანი,** 24 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპორტულ კალენდარში ყოველწლიურად ნახავთ მოთხილამურეთა შეჯიბრებებს, რომელთა მიზანი მარტო უძლიერესთა შერჩევა-გამოვლენა კი არა, კოლექტივების მუშა-მოსამსახურეთა აქტიური დასვენებაცაა.

აი, ახლაც აქ საასპარეზოდ ჩამოსული თბილისის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ბორჯომისა და სხვათა 26 გუნდი ორ ჯგუფად დაიყო. პირველ ჯგუფში სპორტკლუბებისა და მათთან გათანაბრებული საწარმოების კოლექტივები ასპარეზობდნენ: თბილისის სპორტკლუბები „განთიადი", „გამარჯვება", „ფეიქარი", ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისანი", ელმავალმშენებელი ქარხანა, აბრეშუმსაქსოვი და მე-7 სამკერვალო ფაბრიკები, მაუდკამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო", ქუთაისის სპორტკლუბი „კოლხიდა" და № 1 სამკერვალო გაერთიანება, გორის ბამბეულის კომბინატი, რუსთავის ამიერკავკასიის მეტალურგმშენი.

მეორე ჯგუფში იბრძოდნენ თბილისის მე-6 სამკერვალო, ტრიკოტაჟის № 1 და ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკების, კერამიკული კომბინატის, სააღჯო გაერთიანება „განთიადის", ქარხანა ელექტროავტომატის, ბათუმის მე-5 სამშენებლო ტრესტის, ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის და სხვა კოლექტივების სპორტსმენები.

პროგრამა ორივე ჯგუფისთვის ერთნაირი გახლდათ: სლალომი, რბენა, ესტაფეტა. კალენდარი ისე ხელსაყრელად იყო შედგენილი, რომ ბაკურიანში ამოსულებს სარბიელზე ბრძოლით დაღლა არც უგრძვნიათ და სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ შინ კმაყოფილი დაბრუნდნენ.

შეჯიბრებისთვის განსაკუთრებით კარგად მომზადებულან მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის ორგანიზაციები. ამას დიდად შეუწყო ხელი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ტურნირამდე გამართულმა ამ კომიტეტის პირველობამ (ისიც ორ ჯგუფად მოეწყო). მაშინ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I ჯგუფში — „ისანი", „ფეიქარი", ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკა; II — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკა, თბილისის ტრიკოტაჟის № 2 ფაბრიკა, ფაბრიკა „კრწანისი".

მათ თავი არც ცენტრალური საბჭოს პირველობაში შეურცხვენიათ: „ისანმა", მაგალითად, მხოლოდ 7 საჯარიმო ქულა მიიღო და I ადგილი დაისაკუთრა, „ფეიქარმა" კი 22 ქულით III ადგილი მოიპოვა. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის" მოთხილამურეებმა „ფეიქარს" მხოლოდ 2 ქულით აჯობეს.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, აქ პირველობა ბათუმის მე-5 სამშენებლო ტრესტის წარმომადგენლებმა მოიგეს (13 საჯარიმო ქულა). II ადგილზე გავიდნენ ქუთაისის მექანიკური ქარხნის (19), III — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის (27) მოთხილამურეები.

პირადი ტურნირებიც ცალკე ჯგუფებად გათამაშდა, თუმცა მეორეჯგუფელები ზოგჯერ პირველჯგუფელებს სჯობდნენ კიდეც. მაგალითად, ვაჟების სლალომში (250 მ, 32 და 30 კარი) სააღჯო გაერთიანება „განთიადის" გუნდის წევრმა ა. ჯეირანაშვილმა 33,2 აჩვენა და საერთო ჩათვლაში რომ გასულიყო, II ადგილს მოიხვეჭდა. ქალთა ტურნირში (იმავე ტრასაზე) კი ა. სამხარაძემ (№ 6 სამკერვალო ფაბრიკა) ასპარეზობის მესამე შედეგი (48,1) აჩვენა.

ასე იყო რბენაშიც. ბათუმის მე-5 სამშენებლო ტრესტის გუნდის წევრმა ი. ედიშერაშვილმა 10 კმ 46 წუთსა და 50 წამში გაირბინა, მაშინ, როცა I ჯგუფის სპორტსმენთა ტურნირში მეორე პრიზიორმა ნ. ოზეროვმა („ისანი") 47 წუთი აჩვენა. იმავე ედიშერაშვილის გუნდმა 3×5 კმ ესტაფეტაში საერთო მესამე შედეგი (1:34.01) მოიპოვა.

ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა პირადი ტურნირი საერთო სტარტით გამართულიყო და საპრიზო ადგილებიც ჯგუფების მიხედვით კი არა, საერთო მაჩვენებლებით განაწილებულიყო. „განთიადის" ცენტრალური საბჭო ამგვარი ტურნირების გამართვით კარგ საქმეს აკეთებს. სხვა სპორტსაზოგადოებებიც ასე რომ ზრუნავდნენ რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის, საკავშირო სარბიელზე უკეთესი შედეგები გვექნებოდა.

ვ. მიქაბერიძე.

### ტექნიკური შედეგები

**I ჯგუფი. ქალები. სლალომი.** ფ. ოსიპოვა („ისანი") — 43,0, გ. ბაკაევა (ამიერკავკასიის მეტალურგმშენი) — 46,7, ნ. ბაშალეიშვილი (სპორტკლუბი „განთიადი") — 1.30,5; **5 კმ-ზე რბენა.** ვ. გავა — 25.20, ფ. ოსიპოვა — 25.25, ლ. იაკუბოვა (ყველა — „ისანი") — 28.35; **ესტაფეტა 3×3 კმ.** „ისანი" — 1:22.20, „ფეიქარი" — 1:39.11, ამიერკავკასიის მეტალურგმშენი — 1:39.15.

**ვაჟები. სლალომი.** ო. გოცირიძე („ფეიქარი") — 31,8, ა. გურეშიძე („ისანი") — 36,9, ნ. ჩუბკო („გამარჯვება") — 42,2; **10 კმ-ზე რბენა.** გ. ნავოგა — 43.10, ნ. ოზეროვი (ორივე — „ისანი") — 47.05, ლ. როდიონოვი (სპორტკლუბი „განთიადი") — 53.40; **ესტაფეტა 3×5 კმ.** „ისანი" — 1:28.50, ამიერკავკასიის მეტალურგმშენი — 1:31.50. სპორტკლუბი „განთიადი" — 1;34.06.



# მაღალ ტატრებზე ჩემპ

14-22 თებერვალს ჩეხოსლოვაკიაში, სამთო ქალაქ შტრბსკო-პლესოში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში, რომელიც, სპეციალისტების აზრით, მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება „ჩრდილოეთის დისციპლინების“ (ტერმინი, რომლითაც სკანდინავიაში აერთიანებენ რბოლებს, ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდს) ისტორიაში.

გრენობლის 1968 წლის თეთრი ოლიმპიადის შემდეგ თხილამურებისა და ტრამპლინის ბევრმა საუკეთესო ოსტატმა ან მიატოვა სპორტი, ან პროფესიონალებში გადავიდა. ამიტომ გასულ წლებში გამარჯვებულმა გუნდებმა მნიშვნელოვნად განაახლეს თავიანთი შემადგენლობები. წინასწარი პროგნოზების მიხედვით, მომავალ სათხილამურო პრემიერაში ერთ-ერთ წამყვან როლს ითამაშებენ ცენტრალური ევროპის ქვეყნები, სადაც ამ ბოლო ხანს რბოლამ და ორჭიდმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს. კარგი პერსპექტივები აქვთ საბჭოთა მოთხილამურეებსაც.

სსრ კავშირის ნაკრები პირობით შეიძლება დავყოთ ოთხ სექტორად: მრბოლელი ვაჟები, მრბოლელი ქალები, მხტომელები და ორჭიდელები. თითოეულ კოლექტივს თავისი პრობლემები, წარმატების თავისი შანსები აქვს. სანამ ამის შესახებ მოგითხრობდეთ, მინდა ვთქვა, რომ გუნდების საბოლოო შემადგენლობას დაადგენენ მხოლოდ სსრ კავშირის თასების გათამაშების შემდეგ, თუმცა ძირითადი კანდიდატები უკვე ცნობილი არიან და ცალკეული სიურპრიზები ოდნავ თუ შეცვლიან საერთო მდგომარეობას.

საბჭოთა მრბოლელი ვაჟების გუნდი ბოლო წლებში შემადგენლობის სტაბილურობით გამოირჩეოდა. ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებიც ნაკრებში ამ ოთხი წლის უკან, ოსლოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ მიიწვიეს, ამჟამად სსრ კავშირის ეროვნული გუნდის ბირთვს შეადგენენ. ესენი არიან ვ. ვედენინი, ა. აკენტიევი, ა. ნასედკინი, ვ. ვორონკოვი, ვ. ტარაკანოვი, აგრეთვე, ფ. სიმაშოვი და ვ. დოლგანოვი, რომლებიც ნაკრებში ერთი-ორი წელია მოვიდნენ.

გუნდის ასეთი უმნიშვნელო შევსება, ერთი შეხედვით, თითქოს რეზერვებთან სუსტი მუშაობის შედეგია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1966 წლის ახალბედები სტარტიდან სტარტამდე იზრდებოდნენ, საბრძოლო გამოცდილებას ითვისებდნენ და ახლა ოსტატობის გაფურჩქვნის პერიოდში არიან, ბევრმა მათგანმა საერთაშორისო სარბიელზეც მიაღწია წარმატებას. აკენტიევის გამარჯვება ჰოლმენკოლენის ტრადიციულ თამაშებში, ჩვენი საესტაფეტო კვარტეტის დაძაბული, თანაბარი ბრძოლა ფინეთის გამოცდილ გუნდთან გრენობლში, დაბოლოს, ვედენინის ვერცხლის ოლიმპიური მედალი, — ყველაფერი ეს მომავალი გამარჯვებების აშკარა ნიშნებია.

ქალთა რბოლაში უფრო რთული მდგომარეობაა. თაობათა ცვლამ, რომელიც ორი წლის წინ მოხდა, შესამჩნევად იმოქმედა გუნდზე. ყველაზე დიდი სიძნელე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც სპორტს თავი დაანება ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. ბოიარსკიხმა და

# ჯანმრთელობის სამჭედლო

ევპატორიაში ათობით საბავშვო ჯანმრთელობის სამჭედლოა. აქ მთელი წლის განმავლობაში ჩამოდიან ბავშვები გასაკაჟებლად. მათს განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სანატორიუმები, პანსიონატები, პიონერთა ბანაკები. ბანაობა ზამთრობითაც შეიძლება, რადგან ზღვის წყალს ათბობენ და აუზებს აწვდიან.

• • •

სურათზე: ბავშვები სანატორიუმ „სოლნეჩნის“ აუზში.

ფოტო ი. კუიდინისა.



# მეოთხედფინალები

როგორც ვიუწყებოდით, დამთავრდა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირების პირველი ეტაპი. გთავაზობთ გათამაშების ცხრილებს:

## ვაჟები

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „რესინგი“ (ბელგია) | 2 | 2 | 0 | 141—128 | 2 |
| „რეალი“ (ესპანეთი) | 2 | 1 | 1 | 171—158 | 1 |
| „სლავია“ (ჩეხოსლოვაკია) | 2 | 1 | 1 | 158—171 | 1 |
| „აკადემიკი“ (ბულგარეთი) | 2 | 0 | 2 | 128—141 | 0 |

ჯგუფურ ტურნირებში ყოველმა გუნდმა 6 შეხვედრა უნდა ჩაატაროს. ამიტომ, როგორც ხედავთ, ჯერ აუტსაიდერსაც აქვს ნახევარფინალში გასვლის შანსი (ამ ეტაპში მონაწილეობის უფლება ეძლევათ ყოველ ჯგუფში I-II ადგილებზე გასულ კოლექტივებს). „რესინგის“ მდგომარეობა ნათელია. მან ორჯერ დაამარცხა ბულგარეთის „აკადემიკი“ და 2 ქულა დააგროვა. მაგრამ ეს 2 ქულა ფაქტიურად ნიშნავს ერთ გუნდთან (ამ შემთხვევაში, „აკადემიკთან“) გამარჯვებას და ამიტომაც ადგილების საბოლოოდ განაწილებისას მას ერთ ქულად მიიჩნევენ.

დებულების ამ პუნქტის გასამარტავად კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. „რეალმა“ პირველი მატჩი „სლავიასთან“ 2 ქულის სხვაობით წააგო. შინ ესპანელებმა რევანში აიღეს და 15 ქულით გაიმარჯვეს. მეტოქეებმა ერთმანეთს თითო ქულა წაართვეს. მაგრამ, როცა ადგილების საბოლოო განაწილებაზე მიდგება საქმე, „რეალს“ დაერიცხება 1 ქულა, „სლავიას“ კი არაფერი — 0.

### II ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ინისი“ (იტალია) | 2 | 2 | 0 | 172—139 | 2 |
| ცსკა (სსრ კავშირი) | 2 | 2 | 0 | 190—174 | 2 |
| „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) | 2 | 0 | 2 | 174—190 | 0 |
| „ვილერბანი“ (საფრანგეთი) | 2 | 0 | 2 | 139—172 | 0 |

რატომ არის სატურნირო ცხრილში იტალიის ჩემპიონი ცსკა-ზე უფრო მაღლა? ამჯერად მხედველობაში იქნა მიღებული ძველისძველი წესი ქულათა უკეთესი სხვაობის შესახებ: „ინისს“ აქვს +33, ცსკა-ს კი +16.

მეოთხედფინალური ტურნირების მეორე ეტაპის მატჩები გაიმართება 5 და 12 თებერვალს. ერთმანეთს შეხვდებიან: I ჯგუფში — „სლავია“ — „აკადემიკი“, „რეალი“ — „რესინგი“; II ჯგუფში — ცსკა — „ინისი“, „ცრვენა ზვეზდა“ — „ვილერბანი“.

## ქალები

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ტტტ (სსრ კავშირი) | 2 | 2 | 0 | 113—79 | 2 |
| „ვისლა“ (პოლონეთი) | 2 | 0 | 2 | 79—113 | 0 |
| „ვოივოდინა“ (იუგოსლავია) | — | — | — | — | — |

### II ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „აკადემიკი“ (ბულგარეთი) | 2 | 1 | 1 | 129—128 | 1 |
| „კლერმონ-ფერანი“ (საფრანგეთი) | 2 | 1 | 1 | 128—129 | 1 |
| „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) | — | — | — | — | — |

ბულგარეთისა და საფრანგეთის ჩემპიონთა შეხვედრების დროს ისეთივე სიტუაცია შეიქმნა, როგორიც „რეალისა“ და „სლავიის“ ორთაბრძოლაში. ბულგარელებმა, როგორც ხედავთ, ორი მატჩის ჯამში მხოლოდ ქულით აჯობეს მეტოქეებს, მაგრამ ადგილების საბოლოო გასაზღვრისას „აკადემიკს“ 1 ქულა დაერიცხება, „კლერმონ-ფერანს“ კი 0.

ტელეტაიპის ...

## ფიზკულტურა... რეცეპტით

ლენინგრადი. კ. ჟირნოვა შეიძლება სპორტს საერთოდ ვერ გასცნობოდა, შემთხვევით რომ არ დაენახა უჩვეულო აბრა: „ჯანმრთელობის ოთახი“. ამ ოთახში მას შეხვდა ექიმი, რომელმაც გულდასმით შემოწმების შემდეგ ტრადიციული რეცეპტის მაგიერ... სამკურნალო ვარჯიშების კომპლექსი გადასცა. სამი თვის მანძილზე დადიოდა ეს ხანდაზმული ქალი პოლიკლინიკაში, სადაც ვარჯიშს სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი ლ. მალიკოვა ატარებდა. შედეგი: ჟირნოვა განიკურნა და ახლა სამუდამოდ დაუკავშირდა სპორტს.

„ჯანმრთელობის ოთახი“ ვიბორგის მხარის ერთ-ერთ სახლში 57-ე პოლიკლინიკის მუშაკთა ინიციატივით გაჩნდა. თავიდან ამ „ფილიალის“ და-

10 იანვარს ლიეპაჯს გაემგზავრა სსრ კავშირის XXXIII ჩემპიონატის მონაწილე ფრენბურთელ ქალთა 8 გუნდი — პირველობის ფინიშამდე კი საკმაოდ გრძელი გზაა. წინა პირველობამ ვერ მოგვცა ახალი ჩემპიონი — ეს ტიტული კვლავ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა მოიპოვა. ბევრი სპეციალისტი არმიელ ფრენბურთელ ქალებს ეგრეთ წოდებული რაციონალური ფრენბურთის მიმდევრებად თვლის. ამასთან, სიტყვა „რაციონალურში“ კრიტიკულ აზრს სდებენ. ვფიქრობ, ეს არაა სწორი.

მწვრთნელი მ. ვინერი კოლექტივის თამაშს აგებს თავისი აღსაზრდელების კონკრეტული შესაძლებლობების მიხედვით. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბოლო წლებში გუნდის სტილი ოდნავ ჩამორჩა მსოფლიო სტანდარტებს. ცსკა აგერ უკვე 5 წელია არ შეხვედრია ძლიერ მეტოქეებს, რამაც ერთგვარი თვითდამშვიდება გამოიწვია. შედეგი — დამარცხება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ შეხვედრებში და რამდენიმე წაგება ქვეყნის ჩემპიონატში.

# ყოველი მხრიდან

## „უცხოური ლეგიონი“ იტალიის კალათბურთში

როგორც ცნობილია, ევროპის კალათბურთელ ვაჟთა შარშანდელი ჩემპიონატი (იტალია) მასპინძლებისთვის არც ისე იღბლიანი გამოდგა. მწვრთნელმა ჯანკარლო პრიმამ ნაკრებში გამოცდილი ოსტატების ვიანელოს, ვიტორისა და ლომბარდის ნაცვლად ახალგაზრდები შეიყვანა. მათ ბრძოლაში გამოცდას ვერ გაუძლეს და „სკუადრა აძურა“ პრიზიორთა რიგებში ვერ მოხვდა. იტალიის პრესამ დაიწყო კამპანია ნაკრების მწვრთნელის წინააღმდეგ. ამასთან, ჟურნალისტები ძირითად კონტრსაბუთად ყველაზე მეტად იშველიებდნენ ქვეყნის საკლუბო გუნდების — „ინისის“, „სიმენტალის“, ფედის-ის წარმატებებს.

დიახ, იტალიის კალათბურთელთა საკლუბო გუნდები მართლაც კარგად გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ რას ეყრდნობა მათი წარმატება? ყოველ შემთხვევაში არა საკლუბო მწვრთნელების გონივრულ ხელმძღვანელობას. მთავარია უხვი სუბსიდიები, რომლებსაც სპორტული „მეცენატები“ იძლევიან. ისინი არიან სხვადასხვა ქარხნისა და სავაჭრო ფირმების მეპატრონეები, რომლებიც თავიანთი ნაწარმის (ლუდი იქნება ეს თუ სარეცხი მანქანა) ფართო რეკლამისთვის არ იშურებენ ფულს — ყიდულობენ უცხოელ, პირველ ყოვლისა, ამერიკელ კალათბურთელებს. შემთხვევითი როდია, რომ თავად ჟურნალისტები იტალიის ჩემპიონატს აშშ-ს ჩემპიონატის ფილიალს ეძახიან, წამყვან მოთამაშეებს კი — „უცხოურ ლეგიონს“.

რა მდგომარეობაშია იტალიის ეროვნული კალათბურთი. ამას ყველაზე უკეთ ახასიათებს ერთი ციფრი: ამ ქვეყანაში კალათბურთს (მინი-კალათბურთის ჩათვლით) სულ 30 ათასი კაცი თამაშობს.

ახლა მივმართოთ ფაქტებს: ნეაპოლის ფედის-ის წამყვანი მოთამაშეა ამერიკელი უილიამსი. კლუბ „ვირტუსის“ (ბოლონია) ხელმძღვანელებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიწვიეს ტ. დრისკოლი, რომელსაც, მათი სიტყვებით, „დიდი სურვილი ჰქონდა ბოლონიის უნივერსიტეტში მედიცინა შეესწავლა“. ეს სურვილი 40 ათასი დოლარითაც იყო განმტკიცებული, მაგრამ ამის შესახებ, რასაკვირველია, ხმამაღლა არაფერი თქმულა. იტალიის „გაამერიკებულმა“ ჩემპიონმა „სიმენტალმა“ (მილანი) ტილმენის შემდეგ ვარეზეს „ინისიდან“ გადმოიბირა ტ. ჯენარი — კალათბურთელი, რომელმაც „ინისს“ მოაპოვებინა ეგრეთ წოდებული საკონტინენტთაშორისო თასი.

— თუმცა, სამდურავი არც „ინისს“ ეთქმის. ამ გუნდის შემადგენლობაში გამოდიან ამერიკელი ჯონსი და მექსიკელი რაგა. კლუბის მენეჯერები იმის გამო თუ იტყვიან საყვედურს, რომ ეროვნული ჩემპიონატის თამაშებში თითო გუნდში მხოლოდ ერთი უცხოელის გამოყვანა შეიძლება (ეს წესი საერთაშორისო შეხვედრებზე არ ვრცელდება).

ამერიკული, მექსიკური, ხორვატ... ლიგის 12 კლუბიდან არც ერთი არ... თელთა დახმარებაზე. ამასთან, მენ... ბით ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უ... ხამუშაოდ ჩამოდიან, ან სწავლის გ... ფესიონალები არ არიან. ერთი სიტ... გიონი“ მოქმედებს.

## საფეხბურთო...

როცა ამერიკის შეერთებული შტ... შეები, რომელთა კოსტუმებიც ს... სკაფანდრებს ჰგავს, მაყურებლები წინ... სპექტაკლით (ამერიკული „ფეხბურთი“... ვიდრე სპორტულ თამაშს). სიხარული... ნებიც. მათ იციან, რომ დღეს კარგი მ... მატჩებს 70 მილიონი ამერიკელი ტელ... ძალ ფულს იხდის ამისათვის), გაჭედ... ონები მოაქვთ. გასულ სეზონში მატჩ... სულ ამ მატჩებს 12 მილიონამდე გულ... ციფრები, გამოაკელით შემდეგ სახელ... ფასი, და მაინც მიიღებთ თანხას, რომ... უდრის.

## ...წინ

...მეორეხარისხოვან როლს ასრუ-
...ეტერანი ა. კოლჩინა, კოლექ-
...რსებითად ულიდეროდ დარჩა.
...დგილის პრეტენდენტია გ. კულა-
...მაგრამ მის აქტივში ჯერჯერო-
...დიდი გამარჯვებები არ არის. დავუ-
...ით ისიც, რომ მიმდინარე სეზონის
...წყისში კულაკოვამ მძიმე ავად-
...ობა გადაიტანა და სეზონის მთა-
...სტარტისთვის ალბათ ვერ მიაღ-
...საბრძოლო ფორმას.
...ალ ტატრებში გამოსვლისთვის
...ვიან გ. პილიუშენკო, ნ. შებალი-
...ოლიუნინა, ა. კოლჩინა, ლ. დო-
...ინა, ნ. ფიოდოროვა, ი. მიაგერი.
...ან მხოლოდ კოლჩინაა კარგად
...იდი სპორტის მოყვარულთათვის.
...რჩენები ან ახალგაზრდები არიან,
...ერ არა აქვთ დიდი საერთაშორისო
...ბრებების გამოცდილება. ერთი სი-
...ით, საბჭოთა მრბოლელ ქალებს
...ი შრომა მართებთ, რომ დაიცვან
...ანთი თანამემამულეების — გასუ-
...წლების ჩემპიონთა ტრადიციები.
...ხტომელთა გუნდში მდგომარეობა
...ით გარკვეულია. სსრ კავშირის ნა-
კრების ძირითად პრეტენდენტებად ითვ-
ლებიან ვ. ბელოუსოვი, გ. ნაპალკოვი,
ა. ქეგლანოვი, ა. ივანიკოვი, ვ. სმირ-
ნოვი, ვ. გალკინი. ისინი ახალგაზრდე-
ბი არიან (ამ ექვსეულის საშუალო ასა-
კი 23 წელზე ცოტა მეტია), მაგრამ
უმრავლესობას კარგად იცნობენ სპე-
ციალისტებიცა და სპორტის მოყვარუ-
ლებიც. საერთაშორისო კალენდრის
საკითხში მხტომელებს ბედმა უფრო
გაუღიმა, ვიდრე მრბოლელებს. გფრ-
ისა და ავსტრიის ოთხ ტრამპლინზე
ყოველწლიურად ტარდება ტრადიციუ-
ლი საერთაშორისო შეჯიბრებები, ევ-
რეთ წოდებული „ავსტრიულ-გერმანუ-
ლი ტურნე“, სადაც შეიძლება თვიც
გამოიჩინო და გამოცდილი სპორტსმე-
ნების ოსტატობაც შეაფასო.

დასახელებული ექვსი სპორტსმენი-
დან პირველი ოთხი უკვე რამდენიმე
წელიწადია ოსტატდება ევროპის უძ-
ლიერესი „მფრინავი მოთხილამურეე-
ბის“ კომპანიაში. ნაპალკოვმა ცალ-
კეულ ეტაპებზე გამარჯვებაც მოიპოვა,
ხოლო წლეულს საერთო III ადგილი
დაიკავა. ქეგლანოვი შარშან მეოთხე
იყო, ხოლო ბელოუსოვის ჯილდოების
კოლექციაში გრენობლის ოქროს ოლი-
მპიური მედალიც შედის.

ყოველ მათგანს ჰქონდა გარკვეული
ხარვეზები მზადებაში, რაც ხელს უშ-
ლიდა შეჯიბრებებში სტაბილურობის
მიღწევას. ქეგლანოვსა და სმირნოვს,
მაგალითად, დაშვების სუსტი ტექნიკა
ჰქონდათ, ნაპალკოვი ყოველთვის
დროულად ვერ შედიოდა ფორმაში და
ა. შ. მომავალი ჩემპიონატისთვის
მზადების პერიოდში ნაკრების თი-
თოეული კანდიდატი მკაცრი ინდივი-
დუალური გეგმით ვარჯიშობდა და ახ-
ლა იმედი გვაქვს, რომ ეს გამოცდილი,
კარგად შეთანხმებული კოლექტივი
ღირსეულად გამოვა ჩეხოსლოვაკიაში,
რომელსაც ტრამპლინის ცნობილი ოს-
ტატები ჰყავს.

ყველაზე ბუნდოვანია ორჭიდელთა
პერსპექტივები. სსრ კავშირის გუნდის
კანდიდატებს შორის არ ჩანან აშკა-
რად გამოკვეთილი ლიდერები, რო-
გორიც იყვნენ წარსულში, მაგალითად,
ნ. კისელიოვი და ნ. გუსაკოვი. დაწი-
ნაურდნენ გუშინდელი იუნიორები: 22
წლის რ. მაკარა და ნ. ნოგოვიცინი.
პრეტენდენტებს შორის არიან მ. დრი-
აგინი და მ. არტიუხოვი, ტ. ხალიან-
დი, ა. ნოსოვი, ე. ლოგინოვი, მაგრამ
მათი ოსტატობის დონე ჯერჯერობით
შორსაა საერთაშორისო სტანდარტები-
დან. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს,
რომ მაღალ ტატრებში ჩვენი გუნდი
უხეიროდ გამოვა, მაგრამ გამარჯვების-
თვის ბრძოლა უაღრესად დაძაბული
იქნება.

თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონატებში
იოლად ვერავინ იმარჯვებს. ტატრებში
საპატიო კვარცხლბეკისკენ მიმავალი
გზები განსაკუთრებით რთული იქნე-
ბა. მხტომელებმა, მაგალითად, რამ-
დენიმე ძლიერ გუნდს უნდა გაუწიონ
წინააღმდეგობა. ესენი არიან ტრამპ-
ლინის მასპინძლებიც, რომელთაც სა-
თავეში უდგას ოლიმპიური ჩემპიონი ი.
რაშკა, გდრ-ის სპორტსმენებიც, რომ-
ლებიც ცნობილი არიან ძლიერი ტრა-
დიციებითა და კარგი სკოლით, ფინე-
თისა და ნორვეგიის აღორძინებული
გუნდებიც.

მრბოლელებს შორის კონკურენტების
დასახელება განსაკუთრებით ძნელია.
აქ ვერ გააკეთებ ჩვეულ პროგნოზს:
„სკანდინაველები!“.

ჯერ ერთი, ცენტრალურ ევროპაში,
როგორც უკვე ზემოთ ითქვა, გამოჩნ-
და ბევრი ძლიერი მოთხილამურე, მეო-
რეც — შტრბსკო-პლესოს ტრასები ტე-
ქნიკური თვალსაზრისით მეტად რთუ-
ლია და შეაფერხებს მეტოქეთა შესა-
ძლებლობების სრულად გამოვლენას,
გააქარწყლებს ჩრდილოეთის ქვეყნების
მრბოლელთა ტრადიციულ უპირატესო-
ბას ძალასა და გამძლეობაში.

**ნ. ლეონოვი.**



**ყ**ველაზე მაღალი ფეხბურთელი მსოფლიოში ამჟამად და, შეიძლება ითქვას, ყველა დროისთვისაც, არის ბრაზილიის ცნობილი გუნდის „ბანგუს“ (რიო-დე-ჟანეირო) ცენტრალური მცველი ლინკოლნი. 204-სანტიმეტრიანი ლინკოლნი თავს განსაკუთრებით თავისუფლად გრძნობს საკალათბურთო სიმაღლეებზე. თანაგუნდელები ამბობენ, როცა ის თამაშობს, შიშით ჰაერში ჩიტიც ვერ გაიჭაჭანებსო.

ლინკოლნი არც „პირველ სართულზე“ თამაშის დროსაა იოლად ხელწამოსაკრავი. იგი დაცვის ბურჯია.

ს უ რ ა თ ზ ე: ლინკოლნი.

---

## ...ფიდან

...ების მიზანშეწონილობაში მედიკებს
...ეპარებოდათ, მაგრამ მუშაობის
...ველივე დღეებმა ეს ეჭვი გააქარ-
... მარტო 3 თვის მანძილზე „ჯან-
...ლობის ოთახი“ 100 კაცმა მოინა-
...ა.
...მას წინათ პოლიკლინიკამ კიდევ
...ი ასეთი ოთახი გახსნა.

**ხ. გავრიკოვი.**

## ...ული სპარტაკიადას ...ტარებს

...ლმა-ათა. ჩიილის რაიონის
...ნის სახელობის კოლმეურნე-
...ში თანრიგოსანთა რიცხვმა ასს
...ლწია. ერთი წლის წინ კი
...რტში მომეცადინეებს აქ თი-
...ზე დაითვლიდით.
...მეურნეობის გამგეობის მხარდა-
...ით აულში სისტემატურად ტა-
რდება შეჯიბრებები მაგიდის ჩოგ-
ბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში.
გასული წლის ბოლოს კოლმეურ-
ნეობაში პირველი სპარტაკიადა
ჩატარდა. ახლა აულის მცხოვრებ-
ნი მარტო ჭიდაობა „კაზახშა-კუ-
რესით“ როდი არიან გატაცებული.
მაგალითად, კოლმეურნეები ა.
მაკაშევი და კ. ნასიროვი ოლქის
ნაკრების წევრები არიან თავისუ-
ფალ ჭიდაობაში.

მოწინავე მეურნეობის მილიო-
ნიანი შემოსავლიდან დიდი ნაწი-
ლი ფიზიკური კულტურისა და
სპორტის განვითარებას ხმარდება.

**ა. როტმისტროვსკი.**

## ეს ძალიან სასარგებლოა

**კრონშტადტი.** ბალტიისპირე-
თის მეზღვაურებს სტუმრად ეწ-
ვია ზამთრის ცურვის 130-ზე მეტი
მოყვარული ლენინგრადის კლუბ
„ბოლშაია ნევადან“. საჩვენებელი
შეჯიბრების შემდეგ „ლომვეშაპე-
ბი“ ოფიცერთა კლუბში კრონშ-
ტადტის მცხოვრებლებს შეხვდნენ.
სტუმრებმა შეკრებილთ უამბეს,
რა სასარგებლოა ცივ წყალში ცუ-
რვა, როგორ აწრთობს ეს ადამია-
ნის სხეულს.

## მორბენალთა მასობრივი კლუბი

ვორონეჟი. ადგილობრივ „ტრუ-
დის“ სტადიონზე ქვეყნის მრავალგზის
ჩემპიონმა სპორტულ სიარულში, სპო-
რტის დამსახურებულმა ოსტატმა მ.
ლავროვმა, რომელიც ფიზიკური კულ-
ტურის დიდი ენთუზიასტი და პროპა-
განდისტია, მორბენალთა მასობრივი
კლუბი შექმნა. კლუბის სხვადასხვა
ასაკის ასზე მეტმა წევრმა პირველი
სტარტი გასულ კვირას აიღო. ისინი
ჩაებნენ ტრადიციულ მასობრივ შეჯიბ-
რებაში, რომელიც ფაშისტ დამპ-
ყრობთაგან ვორონეჟის გათავისუფ-
ლების 27-ე წლისთავს მიეძღვნა.

— ჩვენი კლუბი ,— უთხრა მ. ლავ-
როვმა საგდეპის კორესპონდენტს, —
აერთიანებს როგორც გამოცდილ, ისე
ახალბედა სპორტსმენებს. ამას გარდა,
მას კიდევ ერთი მიზანი აქვს: ფიზკუ-
ლტურა შეაყვაროს და ჯანმრთელობის
განმტკიცებაში დაეხმაროს ათასობით
ამ ქალაქის მცხოვრებს.

## ეძღვნება მზეს

მურმანსკი. „გამარჯობა, მზეო!“
— ასე ეწოდება მასობრივ სპორტულ
დღესასწაულს, რომელიც აქ ჩატარდა.
ქალაქის ყველა სტადიონზე და სპორ-
ტულ მოედანზე ერთმანეთს ეჯიბრებო-
დნენ ჰოკეისტები, ფიგურისტები, და-
თოვლილ მინდვრებზე ჩატარდა ფეხბუ-
რთელთა გუნდების მატჩები, ტბაზე
მოეწყო „ლომვეშაპების“ შეჯიბრება.
მაგრამ პროგრამაში მთავარი იყო
მოთხილამურეთა ასპარეზობა. სხვა-
დასხვა მანძილზე რბოლებში ათასზე
მეტი მურმანსკელი ჩაება. ფიზკულტუ-
რის კოლექტივებიდან ყველაზე „ხალხ-
მრავალი“ იყო ქალაქის გაერთიანე-
ბული საავადმყოფოს გუნდი. რბოლაში
100 მედიცინის მუშაკი მონაწილეობდა.

---

...იდევ უფრო საშიშია ის ამბავი,
...მ ჩვენი ჩემპიონი დიდი ხანია არ
...ჩვენებს ტაქტიკურ სიახლეებს, თუ-
... სწორედ ეს გუნდი უნდა უწევდეს
...პაგანდას ყოველივე მოწინავეს, რაც
...ფლიო ფრენბურთში ხდება. ჩვენ
...ს მოველით ისეთი გამოცდილი მო-
...მაშეებისგან, როგორიც არიან ვ. ვი-
...რალოვა და ტ. პონიაევა, ვუცდით,
...ლად როდის გამოავლენენ თავიანთ
... გუნდში ცოტა ხნის წინათ მოსუ-
... ლ. ალექსანდროვა და ნ. უტკინა.
...რ შეიძლება არ აღინიშნოს ის მო-
...ურობა და გამარჯვებისკენ სწრაფ-
... რამაც გუნდი საპატიო კვარცხლ-
...ის ყველაზე მაღალ საფეხურზე და-
...ნა. ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა-
...სხვა მიზეზით ცსკა ძირითადი შემა-
...ენლობის მოთამაშეთა (ლ. გურეევა,
... ტიხონინა, ნ. ლუკანინა, ე. გლად-
...ა) გარეშე გამოდიოდა.
...იდერმა წააგო მეორე და მესამე
...ზიორებთან — ლენინგრადის „ბუ-
...ვესტნიკთან“ და მოსკოვის „დინა-
...ოთან“. ორივე კლუბი ცდილობს იე-
...ებში წარმართოს წინა ხაზის სამი
...თამაშით. ისინი „საშიშროების კვ-
რას“ შუა ზონაში ქმნიან, რაც მოწი-
ნააღმდეგე მხარეს ხელს უშლის დაცვ-
ვის ორგანიზებაში, განსაკუთრებით,
ჯგუფურ ბლოკირებაში. განაპირა თავ-
დამსხმელებს, რომლებიც დიდი ფიზიკუ-
რი მონაცემებით არ გამოირჩევიან, საშუ-
ალება ეძლევათ ეფექტურად შეუტიონ
(„ბურევესტნიკში“ ასეთი მოთამაშე-
ები არიან, პირველ ყოვლისა, ს. ფეტი-
სოვა და ტ. სემიონოვა, „დინამოში“
— ლ. ანდრონოვა და ე. ტოლკაჩოვა).

ლენინგრადელი სტუდენტები (მწვრ-
თნელი ვ. ზედგენიძე) თამაშის ამ სტი-

# დიდი ფრენბურთის ახალი წელი

ლამდე მრავალი წლის დაძაბული სა-
წვრთნელი მუშაობის შემდეგ მივიდნენ.
მათი ანსამბლის ჩამოყალიბებაში შეიმ-
ჩნევა არჩეული გზის რწმენა. ს. ილი-
ნიხი და ნ. კუდრევაია ხშირად ჩიხში
აქცევენ მეტოქეთა თავდაცვითს სიმაგ-
რეებს. საერთოდ, ლენინგრადელთა თა-
მაშში შეიმჩნევა რაციონალიზმიც.

მოსკოველ დინამოელთა თამაშში
ახალი დინება შეიტანა კოლექტივში
ახლახან მოსულმა ნ. სმოლეევამ. მ.
კატუშევასთან და ლ. ტიურინასთან ერ-
თად იგი წარმოადგენს გუნდის დამკ-
ვრელ ძალას. უნდა აღინიშნოს სმო-
ლეევას შრომისუნარიანობა. მას სამარ-
თლიანად უწოდებენ კომბინაციური თა-
მაშის წამომწყებს. მას დიდი წვლილი
მიუძღვის გუნდის შარშანდელ წარმა-
ტებაში — ევროპის ქვეყნების ჩემპიო-
ნთა თასის მოპოვებაში, სსრ კავშირის
ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გასვ-
ლაში. სამწუხაროა, რომ დინამოელთა
კოლექტივმა ვერ შეძლო აღეზარდა
სმოლეევას მსგავსი მოთამაშეები სა-
კუთარ ბაზაზე. გუნდის ხელმძღვანე-
ლობა ამჯობინებს სსრ კავშირის ნაკ-
რებიდან მოიწვიოს უკვე დასტატებუ-
ლი ფრენბურთელები. ეს ტენდენცია
უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც
„დინამოს“ სათავეში ჩაუდგა ეროვნუ-
ლი ნაკრების მწვრთნელი გ. ახვლედი-
ანი.

ვფიქრობ, ოდესისა და კიევის სტუ-
დენტთა გუნდებს, მინსკის სპარტაკე-
ლებს, მოსკოვის რკინიგზელებსა და
ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფრენბურთე-
ლებს, სადაც ბევრი ძალიან ნიჭიერი
მოთამაშეა, ჯერ არ უთქვამთ გადამწ-
ყვეტი სიტყვა. დღეს უკვე ვხედავთ თა-
ნამედროვე (სხვა სიტყვებით — სწრაფ,
კომბინაციურ, სიცოცხლით სავსე) ფრე-
ნბურთს ტ. სარიჩევასა და ლ. ლოცის
(მოსკოვის „ლოკომოტივი“), ა. კალ-
ნაიასა და ვ. ლანტრატოვას („ნეფ-
ტიანიკი“), ო. ლეშჩენკოს და ა. როს-
ტოვას (კიევის „ბურევესტნიკი“), ო.
შემაკოვას (მინსკის „სპარტაკი“) შეს-
რულებით. შეიძლება იმედი ვიქონიოთ,
რომ ისინი წლეულს უკეთესად ითამა-
შებენ.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ
ახალ სეზონში ბოლოს და ბოლოს შე-
მაკავშირებელი მოთამაშეები სანთლით
საძებარი აღარ იქნებიან. ეს პრობლემა
აწუხებთ არა მარტო საკლუბო გუნდე-
ბის ხელმძღვანელებს, არამედ სსრ კავ-
შირის ნაკრების მწვრთნელებსაც. კლუ-
ბების მწვრთნელები ცოტა დროს რო-
დი ანდომებენ (ხშირად ტყუილუბრა-
ლოდ) შემტევი სტილის მოთამაშეების
დამაკავშირებლებად დასტატებას. ამ
ამპლუასთვის მოთამაშე თავიდანვე უნ-
და ამზადო. დამაკავშირებელი კარგად
უნდა ხედავდეს მთელ მოედანს, უნდა
ხვდებოდეს მეტოქის ჩანაფიქრს, ჰქო-
ნდეს ტემპის, კომბინაციების განვითა-
რების რიტმის გრძნობა, სიმარდე,
დაკვირვებულობა, სწრაფი ტაქტიკური
აზროვნება. მე უკვე არ ვლაპარაკობ
ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე: თამაშის
ყველაზე მწვავე მომენტებში სწორედ
დამაკავშირებელ მოთამაშეს აწვება
მთელი პასუხისმგებლობა.

საბჭოთა საფრენბურთო კლუბებში
დამაკავშირებლებს ჩვეულებრივ არჩე-
ვენ გამოცდილი, არც თუ ახალგაზრდა
მოთამაშეებიდან (ლ. ბულდაკოვა და
ა. რიჟოვა მოსკოვის „დინამოდან“, გ.
ლეონტიევა ლენინგრადის „სპარტაკი-
დან“). ამავე დროს, ბევრ უცხოურ
გუნდში ვხედავთ 22-23 წლის დამაკა-
ვშირებლებს, რომლებიც, ახალგაზრდო-
ბის მიუხედავად, ამ ამპლუაში ტოლს
არ უდებენ მსოფლიო კლასის საუკეთე-
სო ოსტატებს. დამაკავშირებელი სტი-
ლის მოთამაშეთა აღზრდაში მთავარია
არა მარტო წლების განმავლობაში მი-
ღებული გამოცდილება, არამედ მათი
ადრეული მომზადების მეთოდიკაც.

ახლა ჩვენში გამოჩნდნენ ახალგაზრ-
და ფრენბურთელები, რომლებმაც აირ-
ჩიეს ეს რთული, საინტერესო და საპა-
სუხისმგებლო ამპლუა. შემიძლია დავა-
სახელო მოსკოველი ლოცი, ნ. ვრედი
(ოდესის „ბურევესტნიკი“), ლენინგრა-
დელი სემიონოვა. ამათში მე ვხედავ
1972 წლის ოლიმპიური თამაშების
მონაწილე სპორტსმენებს. იქ კი საბ-
ჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა მეხი-
კოში მოხვეჭილი ჩემპიონის ტიტული
უნდა დაიცვან.

**ო. ჩეხოვი,**
სსრ კავშირის დამსახურებული
მწვრთნელი.

---

...გვარები. იტალიის უმაღლესი
...ბს უარს უცხოელ კალათბურ-
...ი და მწვრთნელები გამუდმე-
...ო სპორტსმენები იტალიაში ან
...ლებლად, და რომ ისინი პრო-
...სამოყვარულო უცხოური ლე-

## ...ონდაიკი

...სტადიონებზე გამოდიან მოთამა-
... ფორმაზე უფრო კოსმონავტების
...ბებიან მოსალოდნელი სასეირო
...ულ ცემა-ტყეპას უფრო ჰგავს,
...ენ ხელებს სპორტული საქმოს-
...ით. გარდა იმისა, რომ ასეთ
...ელი უყურებს (ტელევიზია დიდ-
...ნებს ბიზნესმენებისთვის მილი-
...ილეთები 5-10 დოლარი ღირდა.
...არი დაესწრო. გადაამრავლეთ ეს
...სახადი, ფეხბურთელების ხელ-
...რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთი დიდი ხანია იქცა კაპიტალისტური მრეწველობის ერთ-ერთ დარგად. გუნდები აქ, როგორც წესი, მილიონერების საკუთრებას წარმოადგენენ. თუ გავითვალისწინებთ შემოსავლის ზრდას (გასულ სეზონში — 90 მილიონი, 1965 წელს — 65 მილიონი), ასეთი ტემპები ამერიკული ინდუსტრიის არც ერთ დარგს არ ახსოვს. გასაგებია, რომ კლუბების მეპატრონეები არ ძუნწობენ ცალკეული მოთამაშეებისა თუ მთლიანად გუნდების ყიდვის დროს. 1963 წელს კლუბი „ფილადელფია ფალკონზი“ 5,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. კლუბის მომავალმა მეპატრონეებმა იცოდნენ, რომ ამ ფასს ორმაგად ამოიგებდნენ. მართლაც, გასულ სეზონში იგივე გუნდი უკვე 16,1 მილიონ დოლარად გაიყიდა. „კლივლენდ ბრაუნსი“ 1953 წელს 600 ათას დოლარად იყიდეს, ახლა კი ეს გუნდი 14 მილიონი ღირს. მაგრამ მეპატრონემ გადაწყვიტა ჯერჯერობით არ გაყიდოს იგი — საფეხბურთო ბაზარზე ფასების შეცვლას ელის. „ნიუ-იორკ როკიტსი“ 1963 წელს 1 მილიონი დოლარი ღირდა, ახლა კი 16 მილიონად აფასებენ. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

ამგვარად, სპორტულ საქმოსანთა სიყვარული ამერიკული ფეხბურთისადმი ძალზე იოლად აიხსნება. გასაგებია ისიც, რომ მათ მიერ სუბსიდირებული გაზეთებიც არ ძუნწობენ მატჩებისა და მოთამაშეების ტკბილი ცხოვრების აღწერაში. ისინი რეკლამას უწევენ როგორც ფეხბურთელებს, ისე მათს მეპატრონეებს. მოქმედებს ძველი, ნაცადი კანონი: რაც უფრო მყვირალაა რეკლამა (ვის არ სურს ნახოს, როგორ თამაშობენ ესოდენ ძვირად დაფასებული ჯო ნემეტი ან, ვთქვათ, ჯონი იუნიტესი, რომელიც სეზონში აშშ-ს პრეზიდენტზე მეტ ფულს იღებს), მით უფრო მეტი მაყურებელი მიდის სტადიონზე. ქაფს კი ბიზნესმენები ხდიან. მათთვის ფეხბურთი ნამდვილი ოქროს კლონდაიკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი




# პირველი წრე ციფრებში

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (რიგა) | 11 | 2 | 9 | 802—882 | 2 |

| | მატჩი | წუთი | ჯარიმა | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. ფრეიმანისა | 10 | 203 | 36 | 119 |
| 2. ბალოდისი | 11 | 218 | 31 | 100 |
| 3. ზაბელო | 11 | 279 | 32 | 92 |
| 4. მუიჟნიეკსი | 11 | 298 | 41 | 90 |
| 5. ბირზნიეკსი | 11 | 132 | 25 | 80 |
| 6. დავიდსი | 11 | 218 | 44 | 58 |
| 7. ლეგზდინში | 11 | 188 | 38 | 55 |
| 8. იასნუსი | 11 | 185 | 46 | 51 |
| 9. კალნინში | 9 | 139 | 27 | 44 |
| 10. სტრელისა | 4 | 114 | 13 | 44 |
| 11. ტროიცისი | 8 | 79 | 25 | 34 |
| 12. ზამუელსი | 8 | 72 | 20 | 18 |
| 13. ზებერგსი | 6 | 55 | 12 | 12 |
| 14. ბერგვალდსი | 2 | 23 | 3 | 5 |
| 15. მეუმალისი | 2 | 17 | 4 | 0 |

რიგის არმიელები (XI ადგილი) „გატანილი“ ქულებით (802) X ადგილზე არიან, ხოლო გატანილისა და მიღებულის სხვაობით (— 80) — IX. ასკ სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ ერთად თავისებური რეკორდსმენიცაა — შინ არც ერთი მატჩი არ მოუგია. ის ორად-ორი ქულა, რაც რიგელ კალათბურთელებს 11 კალენდარულ შეხვედრაში აქვთ, მეტოქეთა მოედნებზე აიღეს.

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 11 | 1 | 10 | 830—937 | 1 |

| | მატჩი | წუთი | ჯარიმა | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. კანდელი | 11 | 397 | 48 | 260 |
| 2. ბოლვაჩოვი | 11 | 345 | 51 | 183 |
| 3. კოვალიოვი | 11 | 282 | 44 | 82 |
| 4. ჩერნი | 10 | 193 | 27 | 81 |
| 5. კოროსტილიოვი | 11 | 215 | 51 | 40 |
| 6. მიშაკოვი | 9 | 209 | 27 | 39 |
| 7. ივანოვი | 9 | 103 | 25 | 35 |
| 8. კოჟინი | 9 | 81 | 20 | 25 |
| 9. ერიომინი | 6 | 165 | 19 | 25 |
| 10. დვორნი | 6 | 74 | 18 | 20 |
| 11. სილკინი | 2 | 59 | 8 | 16 |
| 12. დიდრიხსი | 9 | 91 | 22 | 14 |
| 13. ნიკოლაენკო | 5 | 25 | 6 | 10 |
| 14. აზაროვი | 1 | 8 | 0 | 0 |

„გატანილი“ ქულებით (880) „ურალმაში“ VII ადგილზეა, ქულათა ბალანსით (— 107) კი ბოლოზე (იგი სატურნირო ცხრილშიც ასევე XII, ბოლო ადგილზეა). სვერდლოვსკის გუნდმა შინ ვერც ერთხელ ვერ იზეიმა გამარჯვება. ერთადერთი ქულა მან ალმა-ათის „ლოკომოტივს“ მისივე მოედანზე წაართვა.

## ყველა ფინალისტის ვინაობა გაირკვა

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის მოზარდმა ჩოგბურთელებმა თავიანთ ზონაში გამარჯვებით საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება გაინაღდეს. გაირკვა დანარჩენი 7 ფინალისტის ვინაობაც. გუნდური ასპარეზობის ფინალში, რომელიც თბილისში მარტის არდადეგების დღეებში გაიმართება, მასპინძელთა გარდა ითამაშებენ მოსკოვის, ტალინის, სოჭის, მინსკის, ალმა-ათის, კიევისა და ლენინგრადის მოზარდები. აქვე გაიმართება პირადი პირველობაც.

## დააჯილდოვეს

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა „სსრ კავშირის განათლების წარჩინებულის“ ნიშნით დააჯილდოვეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი ი. ბაცელაშვილი.

## სამი პრიზიორი

მინსკში გაიმართა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 15 გუნდი. აქ იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი ათლეტები, მსოფლიო ჩემპიონები როშჩინი, იაკოვენკო, კაზაკოვი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორები კოჩერგინი, ტროსტიანსკი და სხვ.

ტურნირი ძალზე საინტერესო გამოდგა. ახალგაზრდებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს. ბევრ შეხვედრაში ისინი ტოლს არ უდებდნენ გამოცდილ ოსტატებს.

თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც: მირზოიანმა და თელიამ თავიანთ წონით კატეგორიებში II საპრიზო ადგილები დაიკავეს, ხოლო ჩალაური III საპრიზო ადგილზე გავიდა. სამივე ზემოდასახელებულმა ათლეტმა სსრ კავშირის პირველობაში (ომსკი, ტალინი) მონაწილეობის უფლება მიიღო.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრები, რომელიც უმთავრესად ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, გუნდურ ჩათვლაში IV ადგილზე გავიდა.

ლ. ხართიშვილი,
თბილისის ასკ-ს მწვრთნელი კლასიკურ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი.

# დღეს გადაწყდება

მიიწურა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალი. ამ ეტაპზე ძალიან გაიზარდა ყოველი შეხვედრის მნიშვნელობა. ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლიდერთა პაექრობა. ასე იყო გუშინწინაც, VIII ტურში.

დ. გედევანიშვილი (თბილისი) შეხვდა რუსთავის ჩემპიონს გ. ბიბილაშვილს. ჩეხურ დაცვაში მეტოქეებმა თეორიაში ცნობილი სისტემა გაითამაშეს, მაგრამ მოსალოდნელი მწვავე ბრძოლის ნაცვლად რუსთაველმა მოჭადრაკემ თავშივე შეცდომა დაუშვა, უპაიკოდ დარჩა და დამარცხდა.

მეორე ლიდერს — ქუთაისის ჩემპიონ ა. რაზოვსკის იმედი ჰქონდა, რომ გ. კუთარაშვილს (გორის რაიონი) რთულ სადებიუტო სისტემაში დააბნევდა. მაგრამ ნათქვამია, სხვას ორმოს ნუ უთხრი, შენ თვითონ გადავარდებიო: რაზოვსკიმ თავად უზუსტოდ ითამაშა და პაიკი დაკარგა. ამ უპირატესობის რეალიზება ადვილი როდი იყო, მით უმეტეს, რომ ბრძოლა ცაიტნოტში გაგრძელდა. კუთარაშვილმა მაინც შეძლო მეტოქის დამარცხება.

ლ. ნეურონოვმა (ბათუმი) მოუგო მ. ძნელაძეს (თბილისი).

დასკვნითი, IX ტურის წინ, რომელიც დღეს დილით თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგება, გედევანიშვილს 7 ქულა აქვს, ნეურონოვს — 6,5, კუთარაშვილსა და რაზოვსკის — 6-6. მათ შორის უნდა გადაწყდეს ჩემპიონატის ფინალის ორი საგზურის განაწილების საკითხი.

როგორც ცნობილია, III-IV ადგილებზე გასულთ ვ. ქარსელაძის მემორიალში თამაშის უფლება ეძლევათ. ამ ტურნირის ორი საგზურის მოპოვების შანსი ზემოდასახელებულთა გარდა აქვთ ო. თურქესტანიშვილს, ა. გაგუას (ორივე — თბილისი) და ი. მანაშეროვს (ხაშური) — 5,5-5,5. ამ მოჭადრაკეებმა VIII ტურში შესაბამისად მოუგეს ა. სუბელიანს (მესტია), გ. შოგირაძესა (ზუგდიდი) და გ. მუკნიაშვილს (გორი).

თ. გიორგაძე.

## ლაპარაკობენ მონაწილენი

**ო. კობახიძე**
(ტყიბული)

უტყუარი ამბავია: ტყიბულში ამ ბოლო დროს სპორტს დიდ ყურადღებას აქცევენ. ამ მზრუნველობას მხოლოდ მოჭადრაკეები ვერ ვგრძნობთ: კულტურის სახლში ერთი ოთახი გვქონდა, ისიც მიგვიხურეს.

პიონერთა სახლში ბავშვები ჭადრაკს სწავლობენ (მწვრთნელი გ. ბოჭორიშვილი), მაგრამ, როგორც ჩანს, არც მათ ექნებათ სარბიელი. რაიონის პირველობას „მომთაბარედ“, სხვადასხვა ადგილას (ვინც შეგვიკედლებს) ვატარებთ.

კარგი იქნება, „განთიადის“ ან „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ თავისი პირველობა ერთხელ ტყიბულშიც ჩაატაროს. ეს ჭადრაკის პროპაგანდასაც საგრძნობლად შეუწყობდა ხელს და ტყიბულელთა თამაშის დონეც ამაღლდებოდა.

**ა. სუბელიანი**
(მესტია)

სვანეთში გრძელი ზამთრის პირობებში ჭადრაკი შესანიშნავი გასართობია. მაგრამ ზოგი ასე როდი ფიქრობს: მესტიაში ახლადდაარსებულ საბავშვო სპორტულ სკოლაში ჭადრაკის ერთი ჯგუფის გახსნაც „დაავიწყდათ“.

წელიწადში მხოლოდ ერთი ტურნირი — რაიონის პირველობა იმართება. ეს არის და ეს. საჭადრაკო კლუბზე (ერთ ოთახზე მაინც) ლაპარაკი ხომ ზედმეტია!

მინდა წინადადებით მივმართო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასა და რესპუბლიკის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელებს: შექმნან ცნობილ მოჭადრაკეთა ბრიგადა (3-5 კაცი), რომელიც დროგამოშვებით ეწვევა რესპუბლიკის შორეულ რაიონებს, იქ სეანსებსა და ლექციებს ჩაატარებს, ადგილობრივ მოჭადრაკეებს სათანადო კონსულტაციებს გაუწევს. ეს ერთობ სასარგებლო საქმე იქნება.

# სტარტის სიურპრიზები

**თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი.** I ტური. ს. ჩეჩელიანი — მ. ლევინი 1:0, მ. სანაძე — ე. ბელქანია 0:1, ს. ელბაქიძე — ვ. მეჩითოვი 0,5:0,5, დ. ჯანოევი — თ. ლომაია 1:0, თ. ალაბეგაშვილი — ნ. ჩახოიანი 1:0. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

სიურპრიზი გახლდათ ოსტატ ლომაიას წაგება. კარო-კანის დაცვაში ჯანოევმა პანოვის მივიწყებული სისტემა გამოიყენა, მაგრამ უპირატესობას ვერ მიაღწია. მის დაწინაურებულ პაიკს ლომაიამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია და მწარედაც დაისაჯა: სწორედ ამ პაიკმა გადაწყვიტა პარტიის ბედი.

II ტური. ჩეჩელიანი — სემიონოვი 1:0, გ. ციხელაშვილი — სანაძე 0,5:0,5, ბელქანია — ელბაქიძე 1:0, მეჩითოვი — მ. თხელიძე 0,5:0,5, ე. მიქაელიანი — ჯანოევი 0,5:0,5, ლომაია — ალაბეგაშვილი 1:0, ჩახოიანი — ს. მეგრელიშვილი 0:1, ზ. მიქაძე — ლევინი 1:0.

მოდით და ნუ გაიკვირვებთ: ახალგაზრდა მოჭადრაკეები ბრძოლას გაურბიან! ციხელაშვილი და სანაძე ყაიმზე მე-10 სვლაზე შეთანხმდნენ, მიქაელიანი და ჯანოევი — მე-8 სვლაზე, მეჩითოვი და თხელიძე — მე-16 სვლაზე. მაგრამ ყველა როდია „დიდოსტატური ყაიმის“ მოყვარული. ბელქანიამ როგორც პირველ დღეს სანაძეს, ელბაქიძესაც მწვავე ბრძოლა გაუმართა. სიცილიურ დაცვაში ელბაქიძემ უსწოროდ ითამაშა და მეტოქის იერიშის მსხვერპლი გახდა.

ჩეჩელიანმა 26 სვლაში სძლია სემიონოვს. შეუპოვარი თამაში გააჩაღეს მიქაძემ და ლევინმა (მან თ. ხუგაშვილი შეცვალა): მათი პარტია მხოლოდ 68-ე სვლაზე დამთავრდა.

აი, ასე უნდა თამაშობდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები, რომელთაგან ოსტატთა ცვლას ველით.

2 ტურის შემდეგ ჩეჩელიანსა და ბელქანიას 2-2 ქულა აქვთ.

თ. ნინოშვილი.

# ჩემი საყვარელი მოჭადრაკეები: ალექსანდრია, სპასკი



ნატაშა ალიოხინა სსრ კავშირის მოჭადრაკე გოგონათა ჩემპიონია. მან ეს წოდება ამას წინათ ვილნიუსში მოიპოვა.

აი, რას გვიამბობს ნატაშა:

— მე ვორონეჟის 70-ე საშუალო სკოლის IX კლასში ვსწავლობ. ჭადრაკს სერიოზულად 8-9 წლის ასაკიდან ვეუფლები. კვირაში ოთხ დღეს ვმეცადინეობ. ვიყავი რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი გოგონათა შორის. ერთადერთი მიზანი მაქვს — ვითამაშო რაც შეიძლება ძლიერად. ჩემი საყვარელი მოჭადრაკეები არიან ნანა ალექსანდრია და ბორის სპასკი. მომწონს მკაცრი, ლოგიკური, პოზიციური თამაში.

სკოლაში კარგად ვსწავლობ. მიყვარს უცხო ენები და ვიმედოვნებ, რომ გაისად ვორონეჟის უნივერსიტეტის რომანულ-გერმანულ განყოფილებაზე შევალ. სამწუხაროა, რომ იძულებული შევიქენი მიმეტოვებინა პისტოლეტით სროლა და ცურვა. კმაყოფილი ვარ, რომ მწვრთნელ ჩისტიაკოვასთან ერთად მშობლებიც გავახარე. ისინი ინჟინრები არიან. ჭადრაკი მამასაც უყვარს, მაგრამ მხოლოდ მესამეთანრიგოსანია.

* * *

სურათზე: ნ. ალიოხინა.

## 20⁴⁵

◆ ალახაბადი, 26 იანვარი. ცენტრალური ინდოეთის ღია ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა ჩოგბურთელმა ნ. თუხარელმა: ფინალში მან სძლია თანაქალაქელ ა. ივანოვას (7:5, 6:3) და ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. ვაჟთა ერთეულების თანრიგში უძლიერესი იყო ი. გუიაში (უნგრეთი), რომელმაც გადამწყვეტ მატჩში აჯობა ინდოელ ა. ალის. გუიაშმა ნახევარფინალში დაამარცხა თბილისელი თ. კაკულია — 7:9, 6:2, 4:6, 6:3, 2:0 (კაკულიამ ტრავმის გამო ბრძოლა შეწყვიტა).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## 28 იანვარს

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების კულტურის სახლის შენობაში (მაიაკოვსკის ქ. № 6, „დინამოს“ სტადიონის მახლობლად) შედგება თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშგება-არჩევნები.

დასაწყისი 18 საათზე. დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 17 საათიდან.

ფეხბურთის მწვრთნელების, გუნდების წარმომადგენელთა და მსაჯთა დასწრება სავალდებულოა.

## 29 იანვარს

ლენინის სახელობის სტადიონზე (ორჯონიკიძის ქ. № 52) მუშაობას დაიწყებს მძლეოსნობის მსაჯთა მოსამზადებელი სემინარი.

სემინარის შემდეგ მსაჯები მოემსახურებიან საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებს.

მსაჯობის კატეგორიის მიღების მსურველებს ვთხოვთ პირველ მეცადინეობაზე გამოცხადდნენ 18 საათზე.

თბილისის მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი.


თბილისის სპორტის სასახლე



30 იანვარი-1 თებერვალი

თავისუფალი ჭიდაობა

თბილისის IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი

დასაწყისი 12 და 19 ს.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 ფ 08030